საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №4/2018
2018 წლის 5 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1

„საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებით (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 26/11/2015, 010190030.15.008.016218) დამტკიცებული რეგლამენტის:

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეგლამენტი განსაზღვრავს ცესკოს უფლებამოსილებათა განხორციელების წესს, პროცედურას, ცესკოს აპარატის სტრუქტურას და სავალდებულოა კომისიის ყველა წევრისა და აპარატის თანამშრომლებისათვის, აგრეთვე ყველა დონის საარჩევნო კომისიებისა და ცესკოს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანოსათვის.";

2. მე-4 მუხლის 9^2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 9^3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„9^3. განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას ცესკოს გასვლითი სხდომის გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ. აღნიშნული განკარგულება უნდა გამოიცეს გასვლითი სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა და გამოცემისთანავე განთავსდეს ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე;".

მუხლი 2

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**

კომისიის მდივანი **გიორგი ჯავახიშვილი**